

525
1980



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!



საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს

უწყებები

№ 12 (480)

1980 წლის დეკემბერი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამომცემა

თბილისი



საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს

უწყებები



№ 12 (480)

ლექსები

1980 წელი

16910

შინაარსი

ბანუოფილიზა პირველი

- 365. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა მორიგი არჩევნების შესახებ.
- 366. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ დამსახურებული მეთევზის საპატიო წოდების დაწესების შესახებ.
- 367. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „საავტომობილო გზების მშენებლობასა და რემონტში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების ჩაბმის წესის, ვადებისა და ფორმების, აგრეთვე საგზაო სამუშაოებში მონაწილეობისაგან თავის არიდებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებაში ცვლილებათა და დამატებითა შეტანის თაობაზე.

-: :

ბანუოფილიზა მეორე

- 369. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „წყალწოდებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ.
- 369. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აშ. ვ. ი. აბაევისათვის საქართველოს სსრ მეცნერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

განყოფილება პირველი

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

365 საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა მორიგი არჩევნების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. ჩატარდეს საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა არჩევნები 1982 წელს.

2. საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეებს გაუგრძელდეთ რწმუნებანი სახალხო მოსამართლეთა ახალი შემადგენლობის არჩევამდე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 22 დეკემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

366 საქართველოს სსრ დამსახურებული მეთევზის საპატიო წოდების დაწესების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. მეთევზეობისა და საქართველოს სსრ მტკნარ შიდაწყალსატევებში თევზჭერის განვითარების შემდგომი სტიმულირების მიზნით დაწესდეს საპატიო წოდება „საქართველოს სსრ დამსახურებული მეთევზე“.

2. საპატიო წოდება „საქართველოს სსრ დამსახურებული მეთევზე“ მიენიჭებათ საწარმოო გაერთიანებების, საწარმოების, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების, თევზდაცვის ორგანოების, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, საპროექტო ორგანიზაციების, საცდელი სადგურების, თევზის მეურნეობისა და სოფლის მეურნეობის ექსპერიმენტული ბაზების მუშებს, კოლმეურნეებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს, რომლებმაც მეთევზეობის დარგში უმწიკვლოდ იმუშავეს არანაკლებ 15 წელი და განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი სასაქონლო თევზის, ჩასასმელი მასალის, მოზარდი თევზის მოშენების, ხიზილალის და მეთევზეობის სხვა პროდუქციის მიღების საგვეგმო და საწარმოო დავალებების შესრულებაში, ბუნებრივი და ხელოვნური წყალსატევების თევზპროდუქტიულობის გადიდებაში, მოსაშენებელი თევზის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესებაში, მეთევზეობასთან დაკავშირებული სამუშაოების თვითღირებულების შემცირებასა და ეფექტიანობის ამაღლებაში, წარმოებაში მეცნიერების, ტექნიკის მიღწევები-

სა და შრომის მოწინავე მეთოდების დანერგვაში, აგრეთვე აქტიურად მონაწილეობენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

3. ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ საპატიო წოდებების შესახებ დებულების პირველ განყოფილებას მე-18 პუნქტის შემდეგ დაემატოს: „18ა.“ „საქართველოს სსრ დამსახურებული მეთევზე“, ხოლო მეორე განყოფილებას მე-18 პუნქტის შემდეგ — „18ა.“ „საქართველოს სსრ დამსახურებული მეთევზე“ — საწარმოო გაერთიანებების, საწარმოების, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების, კოლპეარაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების, თევზდაცვის ორგანოების, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, საპროექტო ორგანიზაციების, საცდელი სადგურების, თევზის მეურნეობისა და სოფლის მეურნეობის ექსპერიმენტული ბაზების მუშებს, კოლმეურნეებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს, რომლებმაც მეთევზეობის დარგში უმწიკვლოდ იმუშავეს არანაკლებ 15 წელი და განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი სასაქონლო თევზის, ჩასასმელი მასალის, მოზარდი თევზის მოშენების, ხიზილალისა და მეთევზეობის სხვა პროდუქციის მიღების საგვემო და საწარმოო დავალებების შესრულებაში, ბუნებრივი და ხელოვნური წყალსატევების თევზპროდუქტიულობის გადიდებაში, მოსაშენებელი თევზის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესებაში, მეთევზეობასთან დაკავშირებული სამუშაოების თვითღირებულების შემცირებასა და ეფექტიანობის ამაღლებაში, წარმოებაში მეცნიერების, ტექნიკის მიღწევებისა და შრომის მოწინავე მეთოდების დანერგვაში, აგრეთვე აქტიურად მონაწილეობენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშაბარაშვილი.

თბილისი. 1980 წლის 25 დეკემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

367 „საავტომობილო გზების მშენებლობასა და რემონტში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო, სატრანსპორტო, საგზაო და სხვა საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების ჩაზღვის წესის, ვადებისა და ფორმების, აგრეთვე საგზაო სამუშაოების მონაწილეობისაგან თავის არიდებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. შეტანილ იქნეს „საავტომობილო გზების მშენებლობასა და რემონტში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების ჩაზღვის წესის, ვადებისა და ფორმების, აგრეთვე საგზაო სამუშაოების მონაწილეობისაგან თავის არიდებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი

საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 16 მაისის ბრძანებულებაში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1959 წ., № 5, მუხ. 4; 1962 წ., № 15, მუხ. 232; 1965 წ., № 20, მუხ. 411; 1969 წ., № 10, მუხ. 170; 1972 წ., № 12, მუხ. 242) სსრ კავშირის კონსტიტუციიდან, საქართველოს სსრ კონსტიტუციიდან და „საავტომობილო გზების მშენებლობასა და რემონტში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების მონაწილეობის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1980 წლის 14 აპრილის ბრძანებულებიდან გამომდინარე ცვლილებანი და დამატებანი და დამტკიცდეს მისი ახალი რედაქცია.

2. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებებში შეიტანოს ამ ბრძანებულებიდან გამომდინარე ცვლილებები და დამატებები.

3. აღნიშნული ბრძანებულება ძალაში შევიდეს 1981 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1980 წლის 25 დეკემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საავტომობილო გზების მშენებლობაში, რეკონსტრუქციაში, რემონტსა და მოვლა-პატრონობაში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო, სატრანსპორტო, საგზაო და სხვა საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების ჩაბმის წესის, ვადებისა და ფორმების, აგრეთვე საგზაო სამუშაოებში მონაწილეობისაგან თავის არიდებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ

„საავტომობილო გზების მშენებლობასა და რემონტში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების მონაწილეობის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1958 წლის 26 ნოემბრის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. ადგილობრივი საავტომობილო გზების მშენებლობაში, რეკონსტრუქციაში, რემონტსა და მოვლა-პატრონობაში მონაწილეობას იღებენ ქალაქად და სოფლად არსებული ყველა კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმო და სამეურნეო ორგანიზაცია მათი დაქვემდებარების მიუხედავად.

2. ამ ბრძანებულების პირველ მუხლში ჩამოთვლილი საწარმოებისა და ორგანიზაციების მონაწილეობა საგზაო სამუშაოებში სავალდებულოა და იგი არ ანაზღაურდება.

სახალხო დემუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებსა და საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს (რესპუბლიკური დაქვემდებარების ოთხ ქალაქში — თბილისი, ქუთაისი, რუსთავი და ფოთი) უფლება ეძლევათ გამონაკლის შემთხვევებში ცალკეულ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, საწარმოებსა და სამეურნეო ორგანიზაციებს, მათი შუამდგომლობით, შეუტყვალონ საგზაო სამუშაოებში მონაწილეობა ფულადი შესატანით შესასრულებელ სამუშაოთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ოდენობით. ამასთან, თუ სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა სახელმწიფო საწარმოები და სამეურნეო ორგანიზაციები (საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების, დამამზადებელი, საეპრო და მომმარაგებელ-გამსაღებელი ორგანიზაციების გარდა) საგზაო სამუშაოებში მონაწილეობენ ფულადი შესატანის გზით, ამ მიზნებისათვის დანახარჯები არ უნდა აღემატებოდეს ამ საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ პროდუქციის წარმოების, შესასრულებელი სამუშაოების ან გასაწევი მომსახურების მოცულობის 0,3 პროცენტს.

3. ადგილობრივი საავტომობილო გზების მშენებლობაში. რეკონსტრუქციაში, რემონტსა და მოვლა-პატრონობაში მონაწილე თითოეული კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის, საწარმოს, სამეურნეო ორგანიზაციის მუშაობის მოცულობა წელიწადში განისაზღვრება:

ა) კოლმეურნეობებისათვის — კოლმეურნეობის ყოველი შრომისუნარიანი წევრის გამომუშავების ორიდან ოთხამდე დღიური ნორმისა და სამშენებლო და საგზაო სამუშაოებში გამოსაყენებელი კოლმეურნეობის კუთვნილი თითოეული სატვირთო ავტომობილის, ტრაქტორისა და მექანიზმის, ცოცხალი გამწევი ძალის ყოველ ერთეულზე გამომუშავების ოთხი დღიური ნორმის მიხედვით. გამომუშავების დღიური ნორმების კონკრეტულ რაოდენობას აწესებენ სახალხო დემუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, სამუშაოთა მოცულობისა და ხასიათის გათვალისწინებით;

ბ) საბჭოთა მეურნეობების და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის — სამშენებლო და საგზაო სამუშაოებში გამოსაყენებელი მათი კუთვნილი ყოველი სატვირთო ავტომობილის, ტრაქტორისა და მექანიზმის გამომუშავების ექვსი დღიური ნორმით;

გ) სატყეო-სამრეწველო მეურნეობების, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის საწარმო-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის რაიონული და სარაიონთაშორისო განყოფილებების, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციებისათვის (გარდა საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს ორგანიზაციებისა) — სამშენებლო და საგზაო სამუშაოებში გამოსაყენებელი მათი კუთვნილი ყოველი სატვირთო ავტომობილის, ტრაქტორისა და მექანიზმის გამომუშავების ექვსი დღიური ნორმით, მაგრამ ამ საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ პროდუქციის წარმოების, შესასრულებელი სამუშაოების ან გასაწევი მომსახურების მოცულობის არა ნაკლებ 0,3 პროცენტის ოდენობით.

იმ შემთხვევებში, როდესაც საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ პროდუქციის წლიური წარმოების, შესასრულებელი სამუშაოების ან გასაწევი მომსახურების ის ნაწილი, რომელიც გამოყენებული უნდა იქნეს საგზაო სამუშაოებზე, აღემატება მათი კუთვნილი ტრანსპორტისა და მექანიზმების გამომუშავების ექვსი დღიური ნორმის ღირებულებას და ამავე დროს საწარმოებსა და ორგანიზაციებს არა აქვთ საშუალება შეასრულონ ეს ნაწილი თავიანთი ტრანსპორტითა და მექანიზმებით, მათ შეუძლიათ ადგილობრივ საგზაო ორგანოებთან შეთანხმების საფუძველზე განსხვავება დაფარონ ფულადი შესატანით;

დ) სავაჭრო და მომმარაგებელ-გამსაღებელი ორგანიზაციებისათვის — წლიური ბრუნვის 0,02 პროცენტის ოდენობით (საზოგადოებრივი კვების ბრუნვის ჩაუთვლელად);

ე) იმ საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის, რომელთაც არ გააჩნიათ საკუთარი ტრანსპორტი და მექანიზმები, — პროდუქციის წლიური წარმოების, შესასრულებელი სამუშაოების ან გასაწევი მომსახურების 0,3 პროცენტის ოდენობით.

4. ამ ბრძანებულების მე-3 მუხლით გათვალისწინებულ სამუშაოთა მოცულობაში არ შედის საგზაო სამუშაოები, რომლებსაც შეასრულებენ კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოები და სამეურნეო ორგანიზაციები მათი კუთვნილი შიდასამეურნეო და საუწყებო გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციის, რემონტისა და მოვლა-პატრონობისათვის.

5. საგზაო სამუშაოთა შესასრულებლად ყველა მექანიზმს, მოწყობილობას, სატრანსპორტო საშუალებასა და გამწვევ ძალას მძღოლებთან, მოსამსახურე პერსონალთან და დასატვირთ-გადმოსატვირთი სამუშაოებისათვის საჭირო მუშახელთან ერთად გამოყოფენ საწარმოები და ორგანიზაციები და უზრუნველყოფენ საწვავით, საზეთი და სხვა მასალებით საკუთარი ფონდებიდან და თავიანთ ხარჯზე.

6. დაწესდეს, რომ საგზაო სამუშაოებში უშუალო მონაწილეობის ძირითადი ფორმებია:

ა) კოლმეურნეობებში — მუღმივი საგზაო ბრიგადები;

ბ) საბჭოთა მეურნეობებში, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოებსა და სამეურნეო ორგანიზაციებში — მუღმივი მექანიზებული რაზმები ან ბრიგადები საგზაო სამუშაოთა მათთვის დაწესებული მოცულობისა და იმ მექანიზმების რაოდენობის მიხედვით, რომლებიც გამოყოფილია ამ სამუშაოთა შესასრულებლად.

7. კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სხვა საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების მონაწილეობით ადგილობრივი საავტომობილო გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციის, რემონტისა და მოვლა-პატრონობის წლიურ გეგმებს თითოეული რაიონისათვის ადგენენ სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, უთანხმებენ საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს და ამტკიცებენ შესაბამისად სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი

კომიტეტი, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

დამტკიცებული გეგმების საფუძველზე ყოველ კოლმეურნეობას, საბჭოთა მეურნეობას, საწარმოსა და სამეურნეო ორგანიზაციას ეცნობება წლიური დავალება, რომელიც ითვალისწინებს სამუშაოთა შესრულების ადგილს, მოცულობასა და ვადებს, შესატანი თანხების ოდენობასა და მათი გადახდის წესებს. კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, საწარმოებს, სამეურნეო ორგანიზაციებს ეს დავალებანი შეაქვთ თავიანთ წლიურ საწარმოო-საფინანსო გეგმებში.

8. ადგილობრივ საავტომობილო გზებზე იმ სამუშაოთა ტექნიკური მეთვალყურეობა, კონტროლი და მიღება, რომლებიც სრულდება ამ ბრძანებულების შესაბამისად, ხორციელდება სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების, ადგილობრივი საგზაო ორგანოებისა და საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს მიერ.

9. მოწყობილობის, საშენი მასალის, იარაღისა და ინვენტარის შესაძენად, ტექნიკური პერსონალის შესანახად, კვალიფიციური მუშახელისათვის ხელფასის მისაცემად და სხვა ხარჯებისათვის, რაც საჭიროა იმ საგზაო სამუშაოების ორგანიზებისათვის, რომლებიც სრულდება კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების მონაწილეობით, შესაბამის ადგილობრივ ბიუჯეტებში ყოველწლიურად გამოყოფენ ფულად სახსრებს აღნიშნული საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ შესასრულებელ სამუშაოთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულების არა უმეტეს 20 პროცენტის ოდენობით.

10. საგზაო სამუშაოებში მონაწილეობისაგან თავის არიდებისათვის კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოებსა და სამეურნეო ორგანიზაციებს სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები გადაახდევინებენ მათ მიერ შეუსრულებელ სამუშაოთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულების (ფულადი შესატანის) 50 პროცენტს, ხოლო მათს ხელმძღვანელებს აჯარიმებენ 30-დან 50 მანეთამდე ოდენობით. ქ. ქ. თბილისში, ქუთაისში, რუსთავსა და ფოთში განლაგებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებს აღნიშნულ თანხებს გადაახდევინებს საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტრო უდავო წესით.

ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული თანხების გადახდა არ ათავისუფლებს საგზაო სამუშაოებში მონაწილეობის დაწესებული დავალების შესრულებისაგან.

11. საგზაო სამუშაოებში მონაწილეობისაგან თავის არიდებისათვის გადახდევინებული სახსრები, აგრეთვე თანხა, რომელიც შეტანილია საგზაო სამუშაოებში მონაწილეობის სანაცვლოდ, ჩაირიცხება: რაიონებში — ადგილობრივი საგზაო ორგანოების სპეციალურ ანგარიშზე, ხოლო რესპუბლიკური დაქვემდებარების ოთხ ქალაქში (თბილისი, ქუთაისი, რუსთავი და ფოთი) — საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს სპეციალურ ანგარიშზე და დაინახება მხოლოდ და მხოლოდ ადგილობრივი საავტომობილო გზების მშენებ-

ლობაზე, რეკონსტრუქციაზე, რემონტსა და მოვლა-პატრონობაზე იმ ფულადი ასიგნებების დამატებით, რომლებიც ბიუჯეტით გათვალისწინებულია საგზაო სამუშაოებისათვის.

აღნიშნული თანხების გადანაწილება რაიონებს შორის ადგილობრივი საავტომობილო გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციის, რემონტისა და მოვლა-პატრონობის სამუშაოთა დაფინანსების უზრუნველსაყოფად, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმით, განხორციელდება იმ წესით, რომელსაც დაადგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

12. სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებებით, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებით სატრანსპორტო საშუალებათა და საგზაო-სამშენებლო ტექნიკის შესაძენად, აგრეთვე საგზაო ორგანიზაციების საწარმოო ბაზების, მუდმივი ტიპის საცხოვრებელი სახლების ასაგებად და საპროექტო-საკვლევო სამუშაოების ასანაზღაურებლად შეიძლება დაიხარჯოს ამ ბრძანებულების მე-11 მუხლით გათვალისწინებული ფულადი სახსრების არა უმეტეს 20 პროცენტისა. ამავე თანხებიდან საბრუნავ სახსრებს დაწესებული ნორმატივების ფარგლებში გამოუყიფენ საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს იმ მოიჯარე, საგზაო-სამშენებლო და ხიდების სამშენებლო ორგანიზაციებს, რომლებიც ასრულებენ ადგილობრივი საავტომობილო გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციის, რემონტისა და მოვლა-პატრონობის სამუშაოებს.

13. წლის განმავლობაში გამოუყენებელი ფულადი სახსრები, რომლებიც ჩარიცხულია საგზაო ორგანოების სპეციალურ ანგარიშზე, თავიანთ მიზნობრივ დანიშნულებას ინარჩუნებენ მომდევნო წელსაც.

14. ინსტრუქციას ამ ბრძანებულების გამოყენების წესების შესახებ ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

განყოფილება მეორე

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

368 მედლით „წყალწაღებულია გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ

წყალწაღებულის გადარჩენის დროს გამბედაობის, მამაცობისა და თავგანწირვისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით რუსთა-

ვის სახლსაშენებელი კომბინატის ინჟინერი დემურ მიხეილის ძე დაჯილდოვდეს მედლით „წაღწაღებულია გადარჩენისათვის“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1980 წლის 25 დეკემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

369 ამხ. ვ. ი. აბაშვილისათვის საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საბჭოთა ენათმეცნიერების განვითარებასა და სამეცნიერო კადრების მომზადებაში დამსახურებისათვის დაბადების ოთხმოც წელთან დაკავშირებით ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს ამხ. ვასილ ივანეს ძე აბაშვს მიენიჭოს საპატიო წოდება „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1980 წლის 8 დეკემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

370 საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლობისათვის საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

პედაგოგიკური მეცნიერების განვითარებისა და სამეცნიერო კადრების მომზადების დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო მუშაობისათვის საპატიო წოდება „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე“ მიენიჭოთ:

მაქარაშვილს კარლო შალვას ძეს — ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს, პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს.

საყვარელიძეს გოგიტა არკადის ძეს — ი. გოგებაშვილის სახელობის პედა-

გოგუის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორს, პე-
დაგოგუის მეცნიერებათა დოქტორს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1980 წლის 10 დეკემბერი.

ბრძანებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

371 საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ი. გოგუაშვილის
სახელობის პაფაგოგიკის მცენიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის
თანამშრომლებსა და მათი მშობლებისა და მათი მშობლებისა და მათი მშობლების
წოდებითა მინიჭების შესახებ

სახალხო განათლების დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის
საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ი. გოგუაშვილის სახელობის პე-
დაგოგუის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლებს
მინიჭეთ საპატიო წოდება:

„საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი“

დემეტრიძეს ქეთევან ნიკოლოზის ასულს — ი. გოგუაშვილის სახელობის
პედაგოგუის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროს მეც-
ნიერ თანამშრომელს.

თაბორიძეს მარიამ დიმიტრის ასულს — ი. გოგუაშვილის სახელობის პე-
დაგოგუის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მხატვრული აღ-
ზრდის სექტორის გამგეს.

თოფურიძეს ნინო ნიკოლოზის ასულს — ი. გოგუაშვილის სახელობის პე-
დაგოგუის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროს მეცნიერ
თანამშრომელს.

ლებანიძეს ეთერ ნიკოლოზის ასულს — ი. გოგუაშვილის სახელობის პე-
დაგოგუის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროს მეცნიერ
თანამშრომელს.

„ საქართველოს სსრ დამსახურებული ბუნხალტერი“

ტოგონიძეს მარიამ გიორგის ასულს — ი. გოგუაშვილის სახელობის პე-
დაგოგუის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მთავარ ბუნხალ-
ტერს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1980 წლის 10 დეკემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

372 ამხ. ა. ნ. თავხელიძისათვის საქართველოს სსრ მეცნიერების
დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების
შესახებ

ქართული საბჭოთა მეცნიერების განვითარებაში, სამეცნიერო კადრების აღზრდაში დიდი დამსახურებისა და აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს ალბერტ ნიკიფორეს ძე თავხელიძეს მიენიჭოს საპატიო წოდება „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1980 წლის 10 დეკემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

373 წალენჯიხის რაიონის წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობის
მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდების მინიჭების
შესახებ

სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების საქმეში მიღწეული წარმატებებისათვის საპატიო წოდება „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკი“ მიენიჭოთ წალენჯიხის რაიონის წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მუშაკებს:

ანთიას შალვა გაათეს ძეს — საბჭოთა მეურნეობის მუშას.

გულორდავას ვალერიან დოროთეს ძეს — საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორს.

ჩილაჩავას ბოჩა ვიქტორის ძეს — საბჭოთა მეურნეობის აგრონომს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1980 წლის 19 დეკემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

374 ამხ. ვ. ზ. კოგუშავისათვის საქართველოს სსრ ხელოვნების
დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების
შესახებ

მხატვრული თვითმოქმედების დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ქართული ხალხუ-

რი ცეკვის ანსამბლ „მხედრულის“ სამხატვრო ხელმძღვანელს და მთავარ ქორეოგრაფს ამხ. პაპლუტ გრიგოლის ძე კობეშვიძეს მიენიჭოს საპატიო წოდება „საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 19 დეკემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

375 ამხ. ზ. ე. შათირიშვილისათვის საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მიენიჭების შესახებ

იყალტოს შ. რუსთაველის სახელობის სახალხო უნივერსიტეტის რექტორის პოსტზე ხანგრძლივი და ნაყოფიერი საზოგადოებრივი მუშაობისათვის, მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეში დამსახურებისათვის ამხ. გიორგი ელიზბარის ძე შათირიშვილს მიენიჭოს საპატიო წოდება „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მოღვაწე“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 19 დეკემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

376 ამხ. ზ. მ. ოკუჯავასათვის საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მიენიჭების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო, სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს ვაჟა მიხეილის ძე ოკუჯავას მიენიჭოს საპატიო წოდება „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 26 დეკემბერი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

377 საქართველოს სსრ საკაბიო წოდებათა მინიჭების შესახებ

ენერგეტიკისა და ენერგეტიკული მშენებლობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, ენერგეტიკულ სიმძლავრეთა ამოქმედებისა და X ხუთწლიანი გეგმის შესრულებისათვის, გოელროს ლენინური გეგმის მე-60 წლისთავთან დაკავშირებით ენერგეტიკის საწარმოების, სამშენებლო, საპროექტო და სამეცნიერო ორგანიზაციების განსაკუთრებით თავგამოჩენილ მუშაკებს მიენიჭოთ საპატიო წოდება:

„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი“

ბახტატკის ბორის ნიკოლოზის ძეს — საქართველოს ენერგეტიკისა და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს.

გაბუნიას ბიძინა გიორგის ძეს — „საქმთავარენერგოს“ ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის დირექტორს.

გაბუნიას ლევან სერგის ძეს — ტრესტ „საქჰიდროენერგომშენის“ მთავარი ინჟინრის მოადგილეს.

გეგიძეს მედია სიმონის ასულს — „საქმთავარენერგოს“ პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების ექსპერტიზის განყოფილების ექსპერტს.

გოგოტიშვილს გოგუცა ილიას ასულს — ინსტიტუტ „ენერგოქსელპროექტის“ საქართველოს განყოფილების ქვესადგურების, სარელეო დაცვისა და ავტომატიკის განყოფილების მთავარ სპეციალისტს.

გოგუაძეს ალექსანდრე სევერიანეს ძეს — ტრესტ „კავკასელექტროქსელმშენის“ № 8 მექანიზებული კოლონის უფროსს.

დიმიტრიევს ნიკოლოზ ვლადიმერის ძეს — სრულიად საქავშირო გაერთიანება „გიდროსპეცტროის“ უფროსს.

ვარაზაშვილს მანგული ვალერიანის ძეს — ტრესტ „საქჰიდროენერგომშენის“ მთავარი ინჟინრის მოადგილეს, განყოფილების უფროსს, მთავარ მექანიკოსს.

ზარანდიას გიორგი იასონის ძეს — ენგურჰესის მშენებლობის სამმართველოს უფროსის მოადგილეს.

იოონიშვილს იური ვასილის ძეს — საქართველოს ენერგეტიკისა და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს.

კირვალიძეს ნიკოლოზ ფირუზის ძეს — „საქმთავარენერგოს“ თელავის ელექტროქსელის დირექტორს.

კობახიძეს დიმიტრი გრიგოლის ძეს — ინსტიტუტ „ენერგოქსელპროექტის“ საქართველოს განყოფილების ელექტროგადაცემათა მაღალვოლტაიანი ხაზების განყოფილების პროექტის მთავარ ინჟინერს.

ლოხმატიკოვს გიორგი პროკოფის ძეს — ტრესტ „საქვიდროენერგომშენის“ მმართველს.

მახარაშვილს ავთანდილ ივანეს ძეს — ტრესტ „კავკასელექტროქსელმშენის“ № 54 მექანიზებული კოლონის უფროსს.

მაჭავარიანს ზენონ ლევანის ძეს — ინსტიტუტ „ორგენერგომშენის“ თბილისის ფილიალის დირექტორს.

მეხსის გურამ მიხეილის ძეს — ტრესტ „საქვიდროენერგომშენის“ თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის მშენებლობის სამმართველოს უფროსს.

მეხსიას შალვა პეტრეს ძეს — საქართველოს სსრ „სახსამოთგექმედამხედველობის“ საქებაზე ზედამხედველობისა და ამწენაგებობათა ინსპექციის რაიონულ ინჟინერ-ინსპექტორს.

მიქაძეს ანზორ მიხეილის ძეს — ტრესტ „საქვიდროენერგომშენის“ მმართველის მოადგილეს.

მიქაელიანს ხაჩატურ გევონდის ძეს — ტრესტ „საქვიდროენერგომშენის“ დამხმარე საწარმოთა განყოფილების უფროსს.

ნებიერიძეს ივანე დომენტის ძეს — ტრესტ „საქვიდროენერგომშენის“ მმართველის მოადგილეს.

პეტრიაშვილს ჯიმშერ აბრამის ძეს — „საქმთავარენერგოს“ თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის დირექტორს.

რამიშვილს კარლო აკაკის ძეს — ტრესტ „საქვიდროენერგომშენის“ ვარციხის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის სამმართველოს მთავარ ინჟინერს.

რამიშვილს ოთარ ნოეს ძეს — ინსტიტუტ „ენერგოქსელპროექტის“ საქართველოს განყოფილების მშენებლობის ხარჯთაღრიცხვებისა და ორგანიზაციის განყოფილების უფროსს.

სიხარულიძეს სევერიან ილარიონის ძეს — „საქმთავარენერგოს“ ახალციხის ელექტროქსელის დირექტორს.

ქირიას შუქრი დავითის ძეს — ენგურჰესის მშენებლობის სამმართველოს დამხმარე საწარმოების საწარმოო გაერთიანების დირექტორს.

ყიფიანს ქეთევან აკაკის ასულს — „საქმთავარენერგოს“ კადრების განყოფილების უფროს ინჟინერს.

ყირიმნიშვილს შოთა ალექსანდრეს ძეს — ტრესტ „კავკასელექტროქსელმშენის“ განყოფილების უფროსს, მთავარ მექანიკოსს.

შარტავას ნოდარ ნესტორის ძეს — ენგურჰესის მაღლივი კაშხალმშენებლობის სამმართველოს უფროსს.

შელიას ზონდი გრიგოლის ძეს — ენგურჰესის მშენებარე კასკადის დირექტორს.

ცაგარელს იური ალექსანდრეს ძეს — „საქმთავარენერგოს“ მთავარ ინჟინერს.

კინჭარაულს ვლადიმერ ილიას ძეს — ტრესტ „საქვიდროენერგომშენის“ ვარციხის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის სამმართველოს უფროსს.

ხიზანიშვილს ასმათ გიორგის ასულს — ინსტიტუტ „ორგენერგომშენის“ თბილისის ფილიალის მშენებლობის განყოფილების მთავარ სპეციალისტს.

01691

ქ. თბილისი, სსრ, საქ. სსრ
 „საქვიდროენერგომშენის“

„საქართველოს სსრ დამსახურებული მშენებელი“

გაჩეჩილაძეს მიხეილ ფილიპეს ძეს — ტრესტ „კავკასიელექტროქსელმშენის“ № 1 მექანიზებული კოლონის უფროს სამუშაოთა მწარმოებელს.

გორებეკინს ანატოლ ნიკოლოზის ძეს — ტრესტ „საქპიდროენერგომშენის“ მშენებლობის მექანიზაციის სამმართველოს ბრიგადირს, მაბიჯი ექსკავატორის მემანქანეს.

დგებუაძეს დემურ ალექსანდრეს ძეს — ენგურჰესის მშენებლობის საბინაო-კომუნალური სამმართველოს უფროსს.

ვაშაკიძეს ელისაბედ ავეტისის ასულს — ინსტიტუტ „ენერგოქსელბროექტის“ საქართველოს განყოფილების მშენებლობის განყოფილების მთავარ სპეციალისტს.

იმნაძეს ივანე აპოლონის ძეს — ტრესტ „კავკასიელექტროქსელმშენის“ № 90 მექანიზებული კოლონის ელექტრომომონტაჟის.

კალანტარიანს ჰაიკ იოსების ძეს — ტრესტ „პიდროელექტრომონტაჟის“ ამიერკავკასიის სამონტაჟო უბნის მთავარ ინჟინერს.

კახიძეს თენგიზ ივანეს ძეს — ტრესტ „საქპიდროენერგომშენის“ ლითონ-კონსტრუქციების ქარხნის დირექტორს.

კუზურმანს ალექსანდრე ვასილის ძეს — ინსტიტუტ „თბილპიდრობროექტის“ ენგურის საძიებო ექსპედიციის მთავარ გეოდეზისტს

ლაფანაშვილს დიმიტრი ალექსანდრეს ძეს — ტრესტ „კავკასიელექტროქსელმშენის“ № 54 მექანიზებული კოლონის ელექტროგადამცემი ხაზების მშენებელთა ბრიგადირს.

მაისურაძეს დავით გიორგის ძეს — ტრესტ „საქპიდროენერგომშენის“ მშენებლობის მექანიზაციის სამმართველოს უფროსის მოადგილეს.

ნიჟარაძეს ნიკოლოზ ბარნაბის ძეს — ტრესტ „საქპიდროენერგომშენის“ კადრების განყოფილების უფროსს.

რაჭნიკოვს კონსტანტინე ვასილის ძეს — საკავშირო ტრესტ „სპეცპიდროენერგომონტაჟის“ კავკასიის სამონტაჟო უბნის უფროსს.

სარალიძეს ომარ აკაკის ძეს — ენგურჰესის მშენებლობის სამმართველოს უფროსის მოადგილეს.

სართანიას ვახტანგ ერასტის ძეს — ტრესტ „კავკასიელექტროქსელმშენის“ № 8 მექანიზებული კოლონის ელექტროგადამცემი ხაზების მშენებელთა ბრიგადირს.

ქარდავას კარლო პლატონის ძეს — ენგურჰესის მშენებლობის სამმართველოს სამოქალაქო-საბინაო მშენებლობის სამმართველოს ამფეტეხებელს.

შადრიანს ვლადიმერ ივანეს ძეს — ენგურჰესის მშენებლობის სამმართველოს ძალური კვანძის მშენებლობის სამმართველოს ზენკალს.

შელაის გივი კონსტანტინეს ძეს — ტრესტ „საქპიდროენერგომშენის“ რკინაბეტონის ნაკეთობათა ქარხნის დირექტორს.

ჩხაიძეს სოსო ივანეს ძეს — ტრესტ „საქპიდროენერგომშენის“ ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანების მთავარ ინჟინერს.

ხაზალიას ოთარ ელიას ძეს — ინსტიტუტ „თბილჰიდროპროექტის“ ენგურ-პესის მუშა დაპროექტების ჯგუფის უფროსს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული ენერგეტიკოსი“

ვართიანანს ლეონ გრიგოლის ძეს — „საქმთავარენერგოს“ ელექტროსადგურებისა და ელექტროქსელების მოწყობილობის შეკეთების სამსახურის უფროსს.

ვაშაკიძეს კარლო გრიგოლის ძეს — „საქმთავარენერგოს“ უფროს ინჟინერს, კოლეჯის პასუხისმგებელ მდივანს.

თოთლაძეს ზაქარია დავითის ძეს — ამიერკავკასიის ენერგოსისტემების გაერთიანებული სამმართველოს ავტომატიზებული სისტემების სადისპეტჩერო მართვის სამსახურის უფროსის მოადგილეს.

კორძაზიას ფრიდონ ლეონტის ძეს — „საქმთავარენერგოს“ კაპიტალური მშენებლობის ცენტრალიზებული განყოფილების უფროსს.

ღვინის გრიგოლ იოსების ძეს — ინსტიტუტ „ენერგოქსელპროექტის“ კომუნალური და სოფლის ელექტრიფიკაციის განყოფილების უფროსს.

ნანავას სერგო ბესარიონის ძეს — „საქმთავარენერგოს“ სოხუმის ელექტროქსელის დირექტორს.

ხაღვცკაიას ეკატერინე ალექსანდრეს ასულს — „საქმთავარენერგოს“ პერსპექტიული განვითარების სამსახურის უფროს ინჟინერს.

ჭაჟანდარიშვილს ნატალია ივანეს ასულს — ინსტიტუტ „ელექტროქსელპროექტის“ საქართველოს განყოფილების ელექტრული სისტემის პერსპექტიული განვითარების განყოფილების მთავარ სპეციალისტს.

ქუთათელაძეს გივი კონსტანტინეს ძეს — ტრესტ „საქჰიდროენერგომშენის“ მთავარ ენერგეტიკოსს.

ხარაბაძეს კალენიკე დავითის ძეს — ამიერკავკასიის ენერგოსისტემების გაერთიანებული სადისპეტჩერო მართვის პერსპექტიული განვითარების სამსახურის უფროსს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული გეოლოგი“

ღონაძეს ალექსანდრე მარკოზის ძეს — ინსტიტუტ „თბილჰიდროპროექტის“ რიონ-ჟინვალის ექსპედიციის პარტიის უფროსს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტი“

ახალიას ვიგლა რაქდენის ძეს — ტრესტ „საქჰიდროენერგომშენის“ საგეგმო განყოფილების უფროსს.

ღავრენენკოს ვლადიმერ კონსტანტინეს ძეს — ტრესტ „საქჰიდროენერგომშენის“ მთავარ ბუხჰალტერს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული ბუხპალტერი“

თურმანიძეს მარგარიტა იონას ასულს — ენგურპესის მშენებლობის სამმართველოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სამმართველოს მთავარ ბუხპალტერს.

რატინს ბორის ნიკოლოზის ძეს — ტრესტ „საქპიდროენერგომშენის“ უფროს რევიზორს.

„საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკი“

დვალს გიული ალექსანდრეს ძეს — „საქმთავარენერგოს“ თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის ენერგობლოკის მემანქანეს.

იზგინდაროვს ხამიდ ალიმის ძეს — „საქმთავარენერგოს“ სოხუმის ელექტრომონტიორს.

ღეკვინაძეს თენგიზ გრიგოლის ძეს — „საქმთავარენერგოს“ ქუთაისის ელექტროქსელის უფროს ოსტატს.

მაჟანაშვილს ლევან ბესარიონის ძეს — „საქმთავარენერგოს“ საწარმო-სარემონტო საწარმოს აღმოსავლეთ საქართველოს პიდროელექტროსადგურების მოწყობილობის შემკეთებელი საამქროს ბრიგადირს.

ტომახინს დიმიტრი ტროფიმეს ძეს — „საქმთავარენერგოს“ ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის ელექტროსაამქროს ელექტროშენაკალს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 30 დეკემბერი.

გრძანებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

378 ამხ. ა. ნ. ნიჟარაძისათვის საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მიწოდების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო, სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორს ამხ. ანდრია ნიკიფორეს ძე ნიჟარაძეს მიენიჭოს საპატიო წოდება „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 30 დეკემბერი.



ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

379 ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სრულიად საკავშირო შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაარსების 50-ე წლისთავთან დაკავშირებით ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სრულიად საკავშირო შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშვარაშვილი.

თბილისი. 1980 წლის 8 დეკემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

380 ამხ. ვ. ს. ადვანი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახელმწიფო საგემო კომიტეტთან არსებული ეკონომიკისა და სახალხო მეურნეობის დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე ამხ. ვალერიან სერგის ძე ადვანე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშვარაშვილი.

თბილისი. 1980 წლის 8 დეკემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

381 ამხ. ა. ა. აზვილავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი, ნაყოფიერი ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით მწერალი ამირან ალექსან-



ბრეს ძე აბშილავა დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიუმის თავმჯდომარე პ. ზილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1980 წლის 8 დეკემბერი.

ბრძანებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიუმისა

382 ანხ. ბ. ლ. ასინძელაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უფროსი რეფერენტი ანხ. გურამ ლევანის ძე ასინძელაშვილი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიუმის თავმჯდომარე პ. ზილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1980 წლის 8 დეკემბერი.

ბრძანებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიუმისა

383 ანხ. დ. გ. ბენაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი, ნაყოფიერი ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით მწერალი დიმიტრი გიორგის ძე ბენაშვილი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიუმის თავმჯდომარე პ. ზილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1980 წლის 8 დეკემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

384 ანხ. ე. ზ. დავითაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის მინერალური რესურსების ქიმიურ-ანალიზურ შესწავლაში დიდი დამსახურებისა და აქტიური სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პ. გ. მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის ანალიზური ქიმიის ლაბორატორიის გამგე ანხ. ელენე გიორგის ასული დავითაშვილი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 8 დეკემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

385 ანხ. მ. ი. კახიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ნაყოფიერი ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით მწერალი მედეა ილიას ასული კახიძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 8 დეკემბერი.

386 ანხ. ა. ი. ჭადაგიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სისტემაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს საქართველოს სამრეწველო გაერთიანე-

ბა „საქმინსილწყლების“ უფროსი ამხ. არჩილ ილიას ძე ქადაგიძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1980 წლის 8 დეკემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

387 ამხ. რ. ი. ჩიქოვანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ელექტრონიკის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტ „მიონის“ დირექტორი ამხ. რაფიელ ირაკლის ძე ჩიქოვანი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1980 წლის 8 დეკემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

388 ამხ. ა. პ. ხეთაგურის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს ენერგოსისტემაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით ვ. ი. ლენინის სახელობის ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის კასკადის დირექტორი ამხ. ალექსი პეტრეს ძე ხეთაგური დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1980 წლის 8 დეკემბერი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

389 საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ი. გოგებაშვილის სახელობის კადაგოგობის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სივლით დაჯილდოების შესახებ

სახალხო განათლების დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სივლით დაჯილდოვდნენ:

აძინბა ნელი ხოჯარატის ასული — ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

კილაძე რევაზ გრიგოლის ძე — ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პოლიტექნიკური სწავლების მეთოდის სექტორის გამგე.

